4176-26-2-202004152116

N 26/4176
15/04/2020

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს

საქართველოს სახალხო დამცველის N1459-ე
კონსტიტუციური სარჩელის მოსარჩელე მხარე

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების თაობაზე

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წინაშე ვშუამდგომლობთ მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის აცილებას N1459 კონსტიტუციურ სარჩელის განხილვიდან.

2. მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 3 აპრილს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი აირჩია.[1] შერჩეული მოსამართლის ფიცის დადების ცერემონია 8 აპრილს წარიმართა საკონსტიტუციო სასამართლოში.[2] შესაბამისად, ბატონი ხვიჩა უფლებამოსილია ჩაერთოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებში, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.[3]

3. საქართველოს სახალხო დამცველი შუამდგომლობს მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის აცილებასთან დაკავშირებით, N1459 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს შეეხება. კანონის მოთხოვნის შესაბამისად,

[1] < http://www.supremecourt.ge/news/id/2062 >
[2] < https://bit.ly/34CD6px >
[3] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლი.

შუამდგომლობით უნდა დასაბუთდეს აცილების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები.

4. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოსამართლის აცილების შესაძლებლობას, თუ *„საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში“*.

5. დასახელებული საკანონმდებლო ნორმა განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა დადასტურების შემთხვევაშიც უნდა მოხდეს კონკრეტული მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილება. ეს საფუძვლებია - მოსამართლის *პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება საქმის შედეგით* და *ნებისმიერი გარემოება, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ქმნის.*

6. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით „მოსამართლეს, კონსტიტუციის შესაბამისად, ევალება იყოს მის საქმიანობაში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, მოქმედებდეს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ამგვარად, მაღალი პასუხისმგებლობის განმახორციელებელი პირების მიმართ მოქმედებს ვარაუდი, მოლოდინი, რომ ისინი საქმიანობას განახორციელებენ მაღალი პროფესიონალიზმით, რაც, პირველ რიგში, სწორედ სუბიექტური განცდებისა თუ დამოკიდებულებებისგან გათავისუფლებას, და საქმის შეფასებასა თუ გადაწყვეტას გულისხმობს კონსტიტუციის საფუძველზე.“[4] მნიშვნელოვანია სასამართლომ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შეაფასოს საქმეში კონკრეტული მოსამართლის ჩართულობას აქვს თუ არა მიუკერძოებლობის საფუძველი. აღნიშნულის წინაპირობაა, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული გარემოებები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფუძვლიან ეჭვს ქმნის.

7. **მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ არსებობს, როგორც სუბიექტური და ობიექტური გარემოებები, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველია #1459 სარჩელის განხილვის მიზნებისთვის.**

ფაქტობრივი გარემოებები

8. 2020 წლის 3 აპრილს, უზენაეს სასამართლოში პლენუმის სხდომას, რომელზეც არჩეულ იქნა მოსამართლე კიკილაშვილი, პლენუმის შემადგენლობის სრული შემადგენლობა არ დასწრებია. გამართულ სხდომაზე უზენაესი სასამართლოს პლენუმი შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი:[5] უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ნინო ქადაგიძე და პალატის თავმჯდომარეები - მზია თოდუა და შალვა თადუმაძე. მოსამართლეები: მერაბ გაბინაშვილი,

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7/679 განჩინება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომის ოქმი N2.

მირანდა ერემაძე, მამუკა ვასაძე, მაია ვაჩაძე, თამარ ზამბახიძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, გიორგი მიქაუტაძე, ვასილ როინიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ლალი ფაფიაშვილი, გიორგი შავლიაშვილი, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი.

9. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 12 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე უვადოდ დაამტკიცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი[6] უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე.[7] უზენასი სასამართლოს მოსამართლეები გახდენენ: *მერაბ გაბინაშვილი, მირანდა ერემაძე, მამუკა ვასაძე, მაია ვაჩაძე, თამარ ზამბახიძე, შალვა თადუმაძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, გიორგი მიქაუტაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ლალი ფაფიაშვილი, ნინო ქადაგიძე, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე.*

10. 2019 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლების კანდიდატად წარუდგინა ასევე *ვასილ როინიშვილი.*[8] ვასილ როინიშვილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას ამოწურული აქვს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა უზენაეს სასამართლოში. ამ ეტაპზე მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით აქვს გაგრძელებული უზენაეს სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილება.[9]

11. ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 17 მარტს მიიღო განკარგულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების თაობაზე.[10] კონკრეტულ ვაკანსიაზე განაცხადების მიღება 8 აპრილს დასრულდა და ცნობილი გახდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით დარეგისტრირებულ განმცხადებელთა სია.[11] აღნიშნულ ვაკანსიაზე განმცხადებელთა შორის არიან: *გიორგი შავლიაშვილი და დიმიტრი გვრიტიშვილი.*

12. შესაბამისად, უზენაესის სასამართლოს პლენუმის სხდომის მონაწილეთა 18 წევრიდან - 14 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, სწორედ იმ წესით იქნა განწესებული, რომლის კონსტიტუციურობის საკითხზეც დავობს სახალხო დამცველი N1459 კონსტიტუციური სარჩელით, ხოლო 3 წევრი მონაწილეობას იღებს აღნიშნული წესით წარმართულ შერჩევის წესში, რომლის შეჩერების შუამდგომლობაც ასევე წარმოდგენილია მოსარჩელე მხარის მიერ. პარალელურად, უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრი *დიმიტრი გვრიტიშვილი* არის ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და იმ არაკონსტიტუციური პრაქტიკის ავტორი და შემოქმედი, რომელიც სადავოდ არის გამხდარი N1459 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში. იგი ხელმძღვანელობდა იმ სხდომებს, სადაც 49 მოსამართლეობის კანდიდატის გასაუბრება წარიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

---

[6] < https://bit.ly/3baWdt0 >
[7] < https://bit.ly/3ekNGWz >
[8] < http://hcoj.gov.ge/ge/parlamentistvis-tsardgenili-kandidati/3562 >
[9] < https://bit.ly/2K3i9KS >
[10] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება, იხ. < http://hcoj.gov.ge/files/news/1-27.pdf.pdf >
[11] < https://bit.ly/2RzRbhR >

13. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დამსწრე 18 წევრიდან, გადაწყვეტილების მიმღები გახლდათ 17, რადგან კენჭისყრაში არ მონაწილეობდა გიორგი მიქაუტაძე, რომლის საქმეც განხილულ იქნა მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის მიერ.[12] 17 მოსამართლიდან მხოლოდ ერთი წევრი, მზია თოდუა არ არის N1459 სარჩელის სადავო ნორმების პირდაპირი ბენეფიციარი ან ამ ნორმების პრაქტიკაში აღმასრულებელი. დანარჩენი 16 წევრი კი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები უმრავლესობის 95% წარმოადგენს - პირდაპირ დაინტერესებულია, რომ N1459-ე კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი უზენაესის სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესი არ იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ან წარმოადგენენ ამ წესის შემოქმედებს, იმპლემენტატორებს ან ბენეფიციარებს.

14. ხაზგასასმელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელე მხარეს სადავო ნორმების პრობლემურობასთან დაკავშირებით და 2019 წლის 17 დეკემბერს №3/24/1459 საოქმო ჩანაწერით, არსებითად განსახილველად მიიღო სახალხო დამცველის N1459 კონსტიტუციური სარჩელი მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებების, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებებისა და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.[13]

სამართლებრივი გარემოებები

15. საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის აცილების საკითხის შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს **სუბიექტური** და **ობიექტური** შეფასების ტესტით.

16. პირველ რიგში აღვნიშნავთ ობიექტური კრიტერიუმების შესახებ. უზენაესი სასამართლოს პლენუმის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა მიერაც მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის - ხვიჩა კიკილაშვილის - არჩევა, უშუალოდ დაინტერესებულია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის წესი არ იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი.

17. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო ქადაგიძე, N1459-ე კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმის საფუძველზე შეირჩა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. სწორედ მან, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარუდგინა ხვიჩა კიკილაშვილის კანდიდატურა პლენუმს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იქიდან

---

[12] < http://www.supremecourt.ge/news/id/2062 >

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბერს №3/24/1459 საოქმო ჩანაწერი „საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღდეგ“ II-2.

გამომდინარე, რომ ნინო ქადაგიძე დაინტერესებულია #1459 კონსტიტუციური სარჩელის სადავო ნორმის ძალაში დარჩენით,[14] ბუნებრივია საზოგადოების და გარეშე დამკვირვებლის თვალში იკვეთება ობიექტური მიუკერძოებლობის პრობლემა.

18. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორიც, რომ მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ, რომლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის განწესების კონსტიტუციურობაც, მაშასადამე, მათი კონსტიტუციური ლეგიტიმურობა, არის სადავო განსახილველ საქმეში. აღნიშნულ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოხდება, ეს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი მოსამართლეების გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის საკითხს დააყენებს ეჭვის ქვეშ.

19. ამის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა პირდაპირ მიუთითა თავის 2019 წლის 17 დეკემბრის №3/24/1459 საოქმო ჩანაწერში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს პირის უფლებას, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად დაკომპლექტებულ სასამართლოს.“[15] გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „...პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი საქმიდან იმ მოსამართლის ჩამოცილება, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამავე დროს, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძველს იმ შემთხვევაში, თუ იგი არაუფლებამოსილი პირის მიერ არის მიღებული (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).“[16]

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ობიექტური წინაპირობები სახეზე, რომელიც ადასტურებს, რომ ხვიჩა კიკილაშვილი ვერ იქნება აღქმული საზოგადოების მიერ #1459-ე კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მიუკერძოებელ მსაჯულად. მისი ნომინირება და არჩევა მოხდა იმ მოსამართლეთა მიერ, რომლებიც არიან #1459 კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული ნორმატიული აქტის პირდაპირი ბენეფიციარები ან მისი პრაქტიკაში განმახორციელებელნი. ასევე, მის წარდგინებასა და არჩევაზე პასუხისმგებელი მოსამართლეების გადაწყვეტილებაზე შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი გავლენა #1459 კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას და გამოიწვიოს მათი გაუქმება. აქედან გამომდინარე, ამ საქმესთან მიმართებით, ბატონ ხვიჩა კიკილაშვილის მიკერძოებულობის და დაინტერესების საკმაოდ მძლავრი ობიექტური გარემოებებია სახეზე.

---

[14] აღნიშნული შეიძლება გახდეს მის მიერ მიღებული სამოსამართლო გადაწყვეტილებების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. იხილეთ მსჯელობა შუამდგომლობის მე-18-19 პარაგრაფებში.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №3/24/1459 საოქმო ჩანაწერი, II-32;

[16] იქვე. II-33.

21. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრის ქ-ნი ევა გოცირიძის ერთ-ერთ საქმეზე წარმოდგენილი განსხვავებული აზრის მიხედვით, მოსამართლის ობიექტურ მიუკერძოებლობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობის შეფასებისას - *„როდესაც მოსამართლის მიუკერძოებლობის თაობაზე არსებობს „ლეგიტიმური ეჭვები“, მოსამართლე უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას. როდესაც ეჭვი ლეგიტიმურია, მხარე არ არის ვალდებული, ირწმუნოს მოსამართლის მიუკერძოებლობა მხოლოდ მისი განცხადებისა თუ დაპირების საფუძველზე, რომ მიუკერძოებელი იქნება. სწორედ ამ გზით ხდება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის პრინციპის უზრუნველყოფა.“*[17]

22. ობიექტური ფაქტორების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მოსამართლის საქმის განხილვიდან აცილების საკითხის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად მოსამართლის აღქმას, მის დამოკიდებულებას საქმისა თუ რომელიმე მხარის მიმართ. გააჩნია თუ არა ამ უკანასკნელს იმგვარი სუბიექტური გრძნობები, რომელთა დათრგუნვა და უარყოფაც, მისი ადამიანური ბუნების გათვალისწინებით, არ შეუძლია.[18] ჩვენი შეფასებით, სუბიექტური მიუკერძოებლობის საკითხის შეფასება უნდა მოხდეს გარკვეული ობიექტური ფაქტორებით, როგორც ეს ხდება სამართალში ზოგადად სუბიექტური ელემენტების შეფასებისას.

23. პირველ რიგში აღსანიშნავია, ბატონი ხვიჩა კიკილაშვილის არჩევის დრო და აღნიშნულის კავშირი #1459 სარჩელთან. მისი არჩევა მოხდა იმ დროს, როდესაც ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა ეპიდემიის/პანდემიის გამო. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას არ ექმნებოდა რაიმე საფრთხე მოსამართლეთა სიმცირის გამო, სრულიად გაუგებარია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ქმედება დაენიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე სწორედ ამ საგანგებო პერიოდში. ეს ამცირებდა გამჭვირვალობის შესაძლებლობას და კითხვის ნიშნებს აჩენს მთლიანად პროცესის მიმართ. იმ დროს, როდესაც აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო სამსახურების გადასულნი არიან დისტანციური მუშაობის რეჟიმზე და სამედიცინო სექტორის რეკომენდაციაა სოციალური და ფიზიკური დისტანცირება, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საფრთხე შეუქმნა წევრთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და ჩაატარა პლენუმის სხდომა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომლის კრიტიკული აუცილებლობა არ იდგა. ეს ფაქტორი გვაფიქრებინებს იმის თაობაზე, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის ეს გადაწყვეტილება მოტივირებული იყო #1459 კონსტიტუციურ სარჩელზე გავლენის მოხდენის მოტივით.

24. ზემოაღნიშნული არგუმენტაცია ვალიდურია იმის ფონზე, რომ 2020 წლის 20 მარტს, ჩვენს მიერ წარდგენილ იქნა დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის 17 დეკემბერს №3/24/1459 საოქმო ჩანაწერის არგუმენტაციის მიხედვით, სადავო ნორმის შეჩერების შესაძლებლობა არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

---

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე №1/1/1334 სარჩელთან დაკავშირებით.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7/679 განჩინება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-5.

მიერ ხელახალი კონკურსის გამოცხადების პირობებში,[19] უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მოსამართლის დანიშვნა საგანგებო მდგომარეობის პირობებში დიდი ალბათობით სწორედ იმას ისახავდა მიზნად, რომ გავლენა მოეხდინა #1459 სარჩელის განხილვაზე. ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობის 95%-ს შეადგენდნენ ის პირები, ვისაც აქვთ პირდაპირი ინტერესი #1459 სარჩელის მიმართ.

25. მეორე რიგში, სუბიექტურ ფაქტორზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია დროითი კომპონენტი. ანუ რა დრო გავიდა იმ ფაქტიდან და მოვლენიდან, რომელიც იწვევს სავარაუდო მიუკერძოებლობას კონკრეტულ საქმეში. რაც უფრო მეტი დრო გავა ამ ფაქტიდან და მოვლენიდან, მით უფრო ნაკლები შეიძლება იყოს მიკერძოებულობის დონე (მაგრამ არა ყველა შემთხვევაში ავტომატურად). მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ადრე იყო პარლამენტის წევრი და მას უწევს იმ კანონის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა, რომელსაც მხარი დაუჭირა, ეს მიკერძოებულობის დონე შეიძლება უფრო ნაკლები იყოს, 10 წლის წინ მიღებულ კანონზე და უფრო მეტი 6 თვის წინ მიღებულზე. თუ ის ფაქტი ან მოვლენა, რომელიც შესაძლო მიუკერძოებლობის საფუძველია, მიმდინარეა, მიუკერძოებლობის არგუმენტები უარესდება მსაჯულის საწინააღმდეგოდ. ეს არის ერთგვარი გარემოებითი მტკიცებულება (circumstantial evidence), რომელიც სუბიექტური ფაქტორების შეფასებისას მნიშვნელოვანი და რელევანტურია. ბატონი ხვიჩა კიკილაშვილის საკონსტიტუციო სასამართლოში განწესება მოხდა 2020 წლის 3 აპრილს. იმ მოსამართლეთა 95%, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს, ან დღეს მონაწილეობენ გასაჩივრებული ნორმების საფუძველზე მიმდინარე კონკურსში ან არჩეულნი არიან თანამდებობაზე სადავო დებულებების საფუძველზე 2019 წლის 12 დეკემბერს (4 თვის წინ). ეს ადასტურებს იმას, რომ ე.წ. გარემოებითი მტკიცებულება ბატონი ხვიჩა კიკილაშვილის სუბიექტური მიუკერძოებლობის დასადასტურებლად საკმაოდ ძლიერია.

26. როგორც აღინიშნა, ის თუ როგორ შეირჩა მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის კანდიდატურა, საფუძვლიან ეჭვს აჩენს ასევე მისი სუბიექტური მიკერძოებულობის გარემოებებზე. მისი კანდიდატურის დასახელებამდე, არავინ იცოდა თუ ვის შერჩევას აპირებდა უზენაესი სასამართლოს პლენუმი. მასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ბიოგრაფია არ გამოქვეყნებულა საჯაროდ. თვითონ უზენაესი სასამარლოს პლენუმისთვისაც კი არ იყო ცნობილი წინასწარ კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, რადგან სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათლად არის მითითებული, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ სხდომაზე გააცნო კანდიდატის შესახებ ინფორმაცია წევრებს.[20] ეს ნათლად ჩანს/ისმის სხდომის აუდიო ოქმშიც.[21] უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 15 წუთი დაუთმო აღნიშნული საკითხის განხილვას და მოსამართლე კიკილაშვილის საკონსტიტუციო სასამართლოში განწესებას. მისი მაღალი და

---

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „...სადავო ნორმებით დადგენილ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ვალდებულების არარსებობა შესაძლოა იწვევდეს კანდიდატთა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვას.“ (II-11); გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დროის კონკრეტულ მონაკვეთში მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ შეიძლება დადგეს გამოუსწორებელი ზიანი, მას, როგორც აღინიშნა, შეუძლია საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომაც შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება“.

[20] < http://www.supremecourt.ge/news/id/2062 >

[21] უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომის აუდიო ოქმი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
< http://ombudsman.ge/res/misc/2020041512133318483.rar >

განსაკუთრებული პროფესიული კრიტერიუმის დასასაბუთებლად მითითებულ იქნა, რომ იგი „უხმაუროდ“ ახორციელებდა სასამართლო უფლებამოსილებას საერთო სასამართლოში წლების განმავლობაში. კანდიდატს არ უსაუბრია მისი ხედვების შესახებ და არც კითხვა დაუსვამთ ამის თაობაზე პლენუმის წევრებს. **ყველა ეს გარემოება იმ ფაქტთან ერთად, რომ უზენაესი სასამართლოს 17-დან 16 წევრს აქვს პირდაპირი დაინტერესება #1459 კონსტიტუციური სარჩელის მიმართ, ზრდის ბატონი ხვიჩა კიკილაშვილის მიმართ სუბიექტური დაინტერესების ეჭვებს ამ საქმესთან მიმართებით. იქიდან გამომდინარე, რომ მისი დანიშვნის პროცესი წარიმართა საგანგებო მდგომარეობის დროს, ჯამურად მხოლოდ 15 წუთით და მისი ხედვების მოსმენის გარეშე, ამძაფრებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ იგი გამოხატავს უზენაესი სასამართლოსა და პლენუმის სხვა დაინტერესებული მოსამართლეების ინტერესებს. თუ მოსამართლის არჩევის პროცესი წარიმართებოდა პროცედურული დემოკრატიის პრინციპების დაცვით ანუ იქნებოდა გამჭვირვალე განხილვა, გაგრძელდებოდა საკმარისი და ჯეროვანი ხანგრძლივობით, განხილული იქნებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და წარმოდგენილი იქნებოდა მოსამართლეობის კანდიდატის ხედვა, რომელიც დაადასტურებდა კანდიდატის პროფესიონალიზმს და გამოცდილებას, ბატონი ხვიჩა კიკილაშვილის სუბიექტური მიუკერძოებლობის არგუმენტები ბუნებრივად და პროპორციულად შემცირდებოდა.**

27. იქიდან გამომდინარე რომ ბატონი ხვიჩა კიკილაშვილი პირდაპირ და არაპირდაპირ დაინტერესებულია #1459 საქმის შედეგით და არსებობს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც რომელიც ეჭვს იწვევენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში, მოგმართავთ შუამდგომლობით მისი აცილების თაობაზე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დანართი:02 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.